# იმერეთი

**№ 81** ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 **№ 81**

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**სამშაბათი 17 ივნისი**

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

w/199

| გაზეთის ფასი: | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гаврiилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.



## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო  ა ბ ა ნ ო.

**ძმ. ურუშაძეების**

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე

**თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.**

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში“. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში“ იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.



## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი  ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½2მ. |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი



სპეციალური წიგნის მაღაზია

## კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.



## ქ ა ლ ა ქ ი ს  თ ე ა ტ რ ი.

ხუთშაბათს, 19 ივნისს **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **გედევანიშვილის პიესა „სინათლე“** (გამარჯვება თუ დამარცხება)?

დასაწყისი საღამოს 8½ საათ. ადგილების ფასი დაკლებულია.



## ქ უ თ ა ი ს ი.
## თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისათანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.



## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს  ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**



ექიმის იკ. პოკერიას

## სააავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.



**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

**ექიმი** ბ. ა. **მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლა ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.




**ჯგუფი სტუდენტ სპეციალისტებისა უსწორებს გაკვეთილებს** და ამზადებს მოწაფეებს ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ქარვასლის ქუჩა ჩარექოვის სახლი № 13.


## ჩვენი პრესა.

ჩვენში გამეფებულ პარტიულ შუღლის შესახებ „ბათომის გაზეთი“ სწერს:

„ჩვენში არსებულ ჯგუფთა ურთიერთობაში, სამწუხაროთ, კარგი ხანია არაკულტურულმა მიდრეკილებამ იჩინა თავი, ამგვარი მოვლენა ტლანქი და უაზროა. იგი საზოგადოებაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთი ჯგუფი მეორეზე იერიშით მიექანება. იგი არც მისს თვალსაზრისს, არც მის მისწრაფებას, არც მის რწმენას და მის გამოხატულებას არ ინდობს, თითქო ერთმანეთისთვის სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინოსთ.

ამგვარ ჯგუფთა შორის ასეთი ურთიერთობა დიდათ დასაგმობია, მით უფრო, რომ მათ თითქოს ხალხისა და კულტურის სამსახური ასულდგმულებთ, თითქოს თაყვანს სცემენ ერთსა და იმავე იდეალს, მხოლოდ სხვადასხვა გზით.

როდესაც მიმართულებით ერთმანეთს დაშორებული ჯგუფნი, რომელიმე საკითხის გარჩევის დროს პირისპირ შეხვდებიან, რასაკვირველია იგინი ერთმანეთს დიდი პატივისცემით უნდა ექცეოდენ, რადგან თითოეულმა მათგანმა კარგათ იცის, რომ ყოველი იდეური რწმენა და მისწრაფება კაცის, ჯგუფის დიდებული ხარისხია. წინააღმდეგ, ერთი მეორის გაუტანლობა, ერთი მეორის ცუდათ ხსენება, ერთი მეორის ლანძღვა,—უკულტურობის ნიშანია.

უკულტურობის ნიშანიაო, ვამბობ იმისთვის, რომ, როდესაც ერთი ჯგუფი მეორეს ეკამათება, კამათი მარტო სინამდვილის გამოსარკვევათ უნდა იყოს მიმართული. როდესაც რომელიმე ჯგუფი ამ გზას უხვევს, ძალაზე, ან ლანძღვა-გინებაზე ადგია, იგი ერთის მხრით თავის სისუსტეს იჩენს და მეორეთ მოკამათის თავისუფლებას ზღუდავს, თვით ამ თავისუფლებას ეწინააღმდეგება“.

***

ხიზანთა საკითხის შესახებ და დეპუტატ თავ. გელოვანის როლზე ჟურნალი „კლდე“ შემდეგ აზრებს გამოსთქვამს:

„ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც ბ-ნი ჩხეიძე მხარს უჭერს და აჩქარებს კიდეც ხიზანთა კანონპროექტს, რადგან იგი ეკუთნის ანტიეროვნულს, ანუ უკეთ, ეროვნულ ინდეფერენტიზმით ავათმყოფ პარტიას, მაგრამ ჩვენ არ გვესმის სრულიად სოც.-ფედერალისტების ყალბი პოზიცია იმ საკითხში, საცა სოციალისტური და ეროვნული პრინციპი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ერთხელ ის წინააღმდეგობა, რომ არჩილ ჯორჯაძე ამ საკითხს ეროვნულის თვალსაზრისით სწყვეტდა და ახალი ფორმაციის ფედერალისტები, ე. ი. მისი ჩამომავალნი—სოციალისტური თვალსაზრისით და აღარ დავუბრუნდებით ამას; მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ბატონი გელოვანი, რომელიც პირველში ხიზანთა კანონპროექტს უარყოფდა და შემდეგ, როცა თფილისიდან უბძანებს, მისი მოსარჩლე გახდა, დღეს თავგამოდებით უჭერს მხარს ჩხეიძესა და სხვა სოციალისტებს ამ საკითხის აჩქარებაში. იქნება გელოვანსაც, როგორც საზოგადოთ ს.-ფედერალისტებს—მუდამ ეშინია სოციალ-დემოკრატების აზრისა? რასაკვირველია ასეც უნდა იყოს... ნამეტნავათ იმ მოურეცხავ სირცხვილს შემდეგ, რაც სოც.-დემ. აჭამა უხუთელ გლეხების მოტყუებისთვის.

ჩვენი აზრით, დეპუტატ გელოვანს ახლა მაინც უნდა შეეკავებინა თავი და კომისიაში ჩუმადა ყოფილიყო, რადგან ამისათვის ბევრი საპატიო მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი სრულიად არ იცნობს ხიზანთა საკითხს და ხიზანთა მდგომარეობას და მაზე ლაპარაკი მარტო პარტიის ბძანებით—ვერაფერი გულწრფელობა; მეორეც, ჩხეიძესთან ერთად საკითხის გადაწყვეტა იმ დროს სწორედ, როცა უკანასკნელი პარტიის ბრალდება გაუბათილებელია, ცოტა არ იყოს—მოპირდაპირეს ლაქუცსა ჰგავს და მესამეც, თუ კი საზოგადოთ ვისთვისმე ეროვნული თვალსაზრისი სავალდებულოა, იგი სავალდებულოა იმ პარტიის წარმომადგენლისვის, რომელიც ყოველდღე გულში ხელს იცემს და იძახის: ეროვნული ინტერესების დამცველი პარტია ერთადერთი მე ვარო“.

## გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო.

ამ დღეებში გრიგოლ რობაქიძე ქუთაისში ლექციას წაიკითხავს ი. გედევანიშვილის „სინათლეზე“. უმთავრესი ტეზისები ლექციისა ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული და საზოგადოებამ უკვე იცის ამ ტეზისებიდან, რომ განწყობილება გრიგოლ

რობაქიძისა ამ პიესისადმი უარყოფითია. ასეთი რამ ცოტა ინტერესს არ დაბადებს ლიტერატურულ წრეებში და ფართო საზოგადოებაში. უფრო მეტსაც ვიტყვით, იმ ტრიუმფის შემდეგ, რომელიც ხვდა ,,სინათლეს'', გრიგოლ რობაქიძის განზრახვას ბევრი დისონანსად ჩასთვლის იმ საერთო მადლობის ჰიმნში, რომლითაც შეხვდა საზოგადოება პიესის ავტორს. უკვე გაისმის ზოგიერთ წრეებში უკმაყოფილების გრძნობა. მაგრამ ვიცი რა ლიტერატურული გემოვნება გრიგოლ რობაქიძისა და მისი კარგი პირადი განწყობილება ,,სინათლის'' ავტორისადმი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მოვისმენთ ობიექტიურ კრიტიკას ქართულის ნაწარმოებისა, რომელიც მით უფრო მეტათ საჭიროებს ამ კრიტიკას, რამდენათ უფრო ღირსეული იქნება იგი.

ი. გედევანიშვილის დრამა მით არის საყურადღებო კრიტიკისთვის, რომ ეს არის პირველი ცდა ჩვენს ლიტერატურაში ესთეტიურ ნაწარმოების შექმნისა, მეტადრე ჩვენს დრამატურგიაში იგი ახალი რამ არის. აქამდი ქართულ თეატრს სამი ნაწარმოები ჰქონდა, რომელიც ახასიათებდა მის განვითარებას. გ. ერისთავის ,,გაყრამ'' საძირკველი ჩაუყარა ჩვენს თეატრს, დ. ერისთავის ,,სამშობლომ'' მისი პატრიოტული ხანა შეჰქმნა, ავქ. ცაგარლის ,,ხანუმამ'' კი უმწვერვალესამდი განავითარა ქართული კომედია. ყოველ ამ სამ შემთხვევაში ქართული თეატრი ზნეობისა და მოქალაქობის მქადაგებელი იყო. ი. გედევანიშვილმა მოისურვა მისი ახალის, მეოთხე ხანის შექმნა და ოფიციალური კრიტიკაც დაეთანხმა მას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმაოა გავიხსენოთ თამამად დაწერილი წერილი შ. მესხიშვილისა, რომელიც აცხადებდა: ,,სინათლით'' ქართველი ხალხის ახალი ხანა დაიწყოო, მაგრამ, არსებითად, ი. გედევანიშვილის ,,სინათლე", ვარიაცია იყო ძველი ქართული თეატრის ძველი თემებისა. ის იყო პატრიოტული თემა ახალის ტეხნიკით, ნამდვილათ-კი უტეხნიკოდ დაწერილი, რომელიც იმით განირჩეოდა ,,სამშობლოსა'' და ,,ღალატისაგან'', რომ არაფერი საერთო მათთან არა აქვს. ეს უკანასკნელი თვისება ჯერ კიდევ საფუძველი არ არის ორიგინალობისა.

ჩემი წერილი პრელიუდია არ არის გრიგოლ რობაქიძის ლექციისა და მე არ ვიცი როგორ დაასაბუთებს იგი თავის აზრს. ყოველ შემთხვევაში იგი სვამს საჭირო საკითხს იმის შესახებ, აქვს თუ არა ჩვენს საზოგადოებას, ესთეტიური გემოვნება. ეს საკითხი მეც დიდხანს მაინტერესებდა და ვსარგებლობ შემთხვევით მეთქვა ის, რაზეც ახლა ვსწერ. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მიზეზის გამო, ჩემს თავს ამ უფლებას მოკლებულათ ვსთვლიდი.

შ. ამირეჯიბი.

## სამრევლო შკოლების მასწავლებელთა კურსებზე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ჟამად ქუთაისში იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო შკოლების მასწავლებელთა კურსები მოქმედობს. ამ კურსებზე დაუჯერებელი ამბები ხდება. კურსების ლექტორი ბ. მკურნალი, როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული, „ისე სიტყვას არ წარმოსთქვამს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელო უდიერად არ მოიხსენიოს". ამასთანავე კურსების მსმენელები მოკლებული არიან უფლებას, პასუხი გასცენ ისეთ საზიზღარ საქციელს ბ. ლექტორისას, რომელიც აშკარათ მუნჯურ მეთოდის უპირატესობას ქადაგობს.

ჩვენს გაზეთში აღნიშნული იყო, სხვათა შორის, ისიც, რომ მუნჯურ მეთოდს თვით ჩვენ მასწავლებელთა შორის აღმოუჩნდა მომხრე და, როგორც მაგალითი, მოყვანილი გვყავდა მასწავლებელ ქალის ქალბ. ან. გეგენავას საქციელი.

ამის თაობაზე რედაქციამ შემდეგი წერილი მიიღო ახალ-სენაკიდან:

**დაუჯერებელი ფაქტი.**

დ. ახალ-სენაკის მთელი ახალგაზდობა საშინლათ აგვაღელვა და აგვალაპარაკა ბ. Moris წერილმა, რომელიც გაზეთი „იმერეთის" 76-ე ნუმერში იყო მოთავსებული. დაუჯერებელი და წარმოუდგენელია ის ფაქტი, რომელიც ბ. Morim ქართველ საზოგადოების წინაშე გამოაქვეყნა.

დაუჯერებელია, რომ სოფლის მასწავლებელი ქალი ან. გეგენავა ვოსტორგოვებისა და ლევიცკების ცნობილი პროგრამის მოტრფიალე და მომხრე იყოს, რომ ის თაყვანსა და პატივს სცემდეს ისეთ უსარგებლო მეთოდს.

ჩვენ ამას ვამბობთ აგრე მტკიცეთ და დანამდვილებით იმიტომ, რომ ჩვენ მას ბავშობიდან ვიცნობთ, და ვიცნობთ, როგორც ნამდვილ მუშა მასწავლებელს, სამშობლოსთვის კეთილი სურვილებით აღჭურვილს და ქართული ენის მოტრფიალე ქართველ ქალს.

ამიტომ დაუჯერებელია ჩვენთვის ან. გეგენავას საქციელი.

მასწ. **მიქელაძისა თამარი**, მასწ. **ნ. ხუნწარია**, **ვლადიმერ ლაბაძიც**: სტუდ. **ი. სირია**, მოწ. **ავაკი ხორავა**, მოწ. **ა. ხუბუტია**, მასწ. **ქალი ნ. ჯაკობია**, სტუდ. **გიორგი ჯაკობია**, სტუდ. **ალ. ვერულაშვილი**, პრ. **თურქია** და მოწ. **მ. ღვამიჩავა**.

ვბეჭდავთ რა ამ წერილს, რედაქცია აცხადებს, რომ მან შემოწმებული ფაქტი გამოაქვეყნა, და თუ ეს მართალი არ არის, მასწ. ქალ. ან. გეგენავას, რომელიც ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება, შეეძლო აქამდი დაერღვია ბრალდება.

## ქუთაისის ქალაქის სასკოლო კომისიის სხდომა.

ოთხშაბათს, 4 ივნისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა სასკოლო კომისიის სხდომა, რომელზეც კომისიის თავჯდომარემ მოიწვია ქალაქის სკოლების მასწავლებელნიც. სხდომაზე გამოცხადდა კომისიის შვიდი წევრისაგან, თავჯდომარეს გარდა, მხოლოდ სამი წევრი. საკითხების გარჩევა უნდა გადადებულიყო, თუ მასწავლებლებს თანახმობა გამოეცხადებინათ; ათ საათზე თავჯდომარემ სხდომა გახსნა და წამოაყენა ორი საკითხი: პირველი—მეოთხე განყოფილობისათვის ერთი მასწავლებლის არჩევა და მეორე—მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. პირველი საკითხის შესახებ თავჯდომარემ გამოსთქვა სურვილი, რომ არ იქნას განხილული ახალი მთხოვნელების თხოვნები, არამედ დაინიშნოს მასწავლებლათ ახალ ადგილზე ერთი იმპირთაგანი, რომელთაც 3—6 წლის წინათ უთხოვიათ ქალაქის სკოლებში ადგილი და სანიმუშო გაკვეთილიც მიუციათ. ერთ წევრთაგანს ამაზე ხმა არ ამოუღია, ალბათ, თანახმა იყო ასეთი წინადადებისა, მეორემ, ჯერ განაცხადა, რომ არ ვიცნობ იმათო, მაგრამ, შემდეგ კი, არ ვიცი რა მოსაზრებით თანახმა გახდა თავჯდომარის სურვილისა და მესამე კი საფუძვლიანათ იცავდა საკითხს და წინადადებას იძლეოდა, რომ თხოვნები ახალი მთხოვნელებისა განეხილათ და, როგორც დღემდი იყო დადგენილი მასწავლებლების დახმარებით, შემდეგშიაც ისე უნდა ავარჩიოთ კანდიდატები, რომლებმაც დაწესებულებისამებ უნდა მისცენ საკონკურსო გაკვეთილები, რადგან, ადვილათ შეიძლება, ამ ახალ მთხოვნელებში ძველ კანდიდატებზე უკეთესები აღმოჩნდენო. მესამე წევრის აზრს მიემხრნენ მასწავლებლებიც და სასურველათ აღიარეს ძველებური საზომით იქნას არჩეული მასწავლებელი ე. ი. გაკვეთილების მიცემით. მცირე ხნის თათბირს შემდეგ თავჯდომარემ და ერთმა წევრმა საკითხი გამორკვეულათ გამოაცხადეს და გადასწყვიტეს შეიკრიბონ სხვა დროს და სამი ძველი კანდიდატიდან თვითონ ამოარჩიონ ერთი—გაკვეთილების მიუცემლათ, თუმცა ერთი წევრი და მასწავლებლები ამის თანახმა არ გახდენ და საკითხი ჯერჯერობით გამოურკვეველათ მიაჩნიათ. თავჯდომარე გადავიდა მეორე საკითხზე: როგორ გააუმჯობესონ მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა; ამის შესახებ კომისიამ განაცხადა: „აუცილებლათ საჭიროა მასწავლებლებს ჯამაგირი მოემატოსო, მაგრამ, რადგანაც ახალი ხარჯთაღრიცხვა ნოემბერში უნდა შედგეს და მაშინ კი ახალი ხმოსნები იქნებიან და შეიძლება ჩვენ წევრებათ აღარ ვიქნეთ, ამიტომ ამ საკითხის გარჩევა გადავსცეთ და მივანდოთ სექტემბერში არჩეულ ახალი ხმოსნებიდან ახალ წევრებსო." ამით გაათავეს საქმე. არსებითად ამ სხდომაზე არა გაკეთებულა.

დასასრულ ვურჩევ ქალაქის სკოლების მასწავლებლებს, რომ თავისი მდგომარეობის შესახებ თვითონ იზრუნონ, თორემ კომისიას მაინცდამაინც მათი დარდი არ აწუხებს. რაც შეეხება მასწავლებლის არჩევის საკითხს, კომისია ვალდებულია ყველა, ამ ადგილზე ახალი მთხოვნელის, თხოვნები განიხილოს მასწავლებლების თანადასწრებით და კანდიდატებს საკონკურსო გაკვეთილები მიაცემიოს იმ წესით, როგორც დღემდი არსებობდა.

მასწავლებლის არჩევა უნდა მოხდეს სექტემბრის პირველ რიცხვებში, მანამდი კი უფლება ეძლევა მსურველთ, ამ ადგილზე თხოვნები შემოიტანონ.

მეფარნე მარი-ოღლი.

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში შესდგება ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის წევრების საგანგებო კრება, იმის ნაცვლათ, რომელიც უნდა შემდგარიყო 10 ივნისს. კრებაზე განსახილველია საპენსიო კასის წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლა და დამატება.

◆ როგორც ზედა მაღლაკიდან გვატყობინებენ, იქ დიდ წვიმებს ახლათ ამოსული სიმინდი ძლიერ დაუზიანებია. თუ წვიმა კიდევ გაგძელდა, შიმშილობა კვლავ მოსალოდნელიაო.

◆ ბრაზილიის საიმპერატორო კონსულის ცნობით, რომელიც მიიღო ქიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭომ,—ბრაზილიიდან გაუზიდავთ 1913 წლის განმავლობაში 122,300 ტონა ე. ი. 7,582,600 ფუთი შავიქვა.

◆ დღეს, დღის 12 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება საჯარო ვაჭრობა გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ადგილის საიჯაროთ გასაცემათ. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

◆ 19 ივნისს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში შესდგება მეორე ვაჭრობა, თფილისის გუბერნიის სოფლებისა და ქალაქების მამულებისა.

◆ ჯაჭვის ხიდიდან ასავალი გზა გორაზე—ცაცხვებამდი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ეტლს იქ ასვლა არ შეუძლია და მცხოვრებლები დიდ გაჭივრებაში იმყოფებიან. საჭიროა, ქალაქის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს

◆ პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 14 ივნისს 78 მანეთად და 10 შაურათ ფასობდა.

◆ დღეს ოლქის სასამართლოში გაირჩევა დავით დგებუაძის და სხვ. სისხლის სამართლის საქმეები.

◆ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია 27 ივნისისათვის.

◆ ორპირის ქუჩის შესახვევის მცხოვრებლებმა გზა უკვე შეაკეთეს და ახლა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანეს ამ ქუჩებზე ფარნების დადგმის შესახებ.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობაში გამოცხადდენ ქუთ. ხელოვნური ხილეულობის ქარხნის მეპატრონეები, თანახმად ქალაქის გამგეობის დაბარებისა. ქალაქის გამგეობამ ისინი გააფრთხილა, რომ წყალში არ გაურიონ აგრეწოდებული „ნახშირის" საღებავები.

◆ 13 ივნისს, ბაზრის სანიტარებმა ვ. ბექანეიშვილმა და შავგულიძემ გელათის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა სანიტარული წესის დარღვევისათვის შემდეგ პირებს: მიხ. თავდიდიშვილს, არონ ელიგულაშვილს, შალომ თავდიდიშვილს, ნაპტალ იაკობიშვილს, აბეშა პაპიაშვილს, გულო ხანანიშვილს, დამინ ენუკაშვილს, რაფიელ ფიჩხაძეს, მოშა და დავით ფიჩხაძეებს, შალომ რიჟინაშვილს, მონუხ და გაბრიელ რიჟინაშვილებს, იოსებ ბინიაშვილს, სოფიო მიქელაძეს, ისხაკ ბინიაშვილს, რაფიელ პაპუაშვილს, შალომ მოშიაშვილს, მარდახ ბინუაშვილს, მიხ. ციციაშვილს, ელ. მაწკეპლიშვილს, შალომ ბინუაშვილს, მ. იაკობიშვილს, მიხ. ფიჩხაძეს, მოშა რიჟინაშვილს, ს. ფიჩხაძეს, მოშა თავდიდიშვილს, იაკობ ტაპჩაშვილს, რაფიელ ფიჩხაძეს, მ. ტოპჩიაშვილს, შ. ფიჩხაძეს, იაკ. თამონიშვილს, გ. ჩიკვაშვილს, შ. ტოპჩიაშვილს და -Ωо და ტოპჩიაშვილს.

◆ გუშინწინ, 15 ივნისს, უკვე დასრულდა ელისაბედ პავლეს ასულის ხოჯევანაშვილის კერძო პროგიმნაზიის უკანასკნელ კლასის გამოცდები. იმისდა მიუხედავათ, რომ მთავრობის დელეგატის ბ-ნ კორიცკის თავჯდომარეობით სასტიკი გამოცდები იყო, ოცდა ათ მოწაფე ქალიდან 22 მოწაფემ ჩინებულათ დაამთავრა სწავლა. აქედან 17 ქართველია ერთი ებრაელი, სამი რუსი და ერთი სომეხი. აი მათი გვარი: ვასილიევა სოფიო, გუნინა ანნა, გუგუშვილი ქეთევანი, გვინჩიძე ელენე, დოლიძე მარიამი, ზაცკვიჩი ლიუბოვ, იმედაძე ლიუბოვ, იმედეიშვილი ალექსანდრა, კვანტელიანი ბარბარე, კალაშნიკოვა ელენე, ლიპცოვა ელისაბედი, პოგრუბეცკაია, ანნა, საყვარელიძე მარგარიტა, საპახტარაშვილი ნინო, ტერ-გაბრიელოვა შუშანა, უგლავა ბარბალე, წერეთელი ოლღა შომახია ნადეჟდა და იბეხტმანი თამარა, ებანოიძე ელენე და ციცქიშვილი ქსენია.

## გაზ. ,,შრომის" პუბლიცისტიკა.

(იხ. „შრომის №№ 14 და 15-ში წერილები „მიოლნირისა"

ყოველი მხრიდან მეუბნებიან, დაანებე თავი პოლემიკას, მოგვბეზრდა პოლემიკაო. აი ჩემი პასუხი. ვისაც არ ეინტერესება, ნურც წაიკითხავს საპოლემიკო წერილებს: გაზეთში სხვასაც ბევრს იპოვის სასიამოვნო საკითხავს. მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც სადავო სოციალური და პოლიტიკური საკითხების გამორკვევა აუცილებლად მიაჩნიათ. მათთვის კი ამგვარი საკითხების შესახებ აზრთა გაზიარება—მოთხოვნილებაა.

პოლემიკა—აზრთა გაზიარებაა, რომელიც ხელს უწყობს ჭეშმარიტების გამორკვევას.

ეროვნული ავტონომიის გარშემო დაუსრულებელმა დავამ სოციალდემოკრატიული დოგმის უძრავი ჯავშანიც კი გახია და ავტონომიის იდეას გზა გაუკვლია.

მკითხველთა შორის ბევრია ისეთი, პრინციპიალური დავა, აზრთა-გაზიარება რომ ეინტერესება. და, ვინც მარტო ყოველდღიურ ჭირვარამში ხედავს ცხოვრების მიზანს, მას არავითარი უფლება არ აქვს—აუკრძალოს გაზეთს პრინციპიალური საკითხების შესახებ კამათი, რომელიც, როგორცა ვთქვით, მოთხოვნილებაა ზოგიერთისთვის.

ვისაც პრინციპიალური საკითხები არ ეინტერესება, მას პოლემიკა ცალიერი ლანძღვა-გინება ჰგონია. სცდება: ლანძღვა-გინება, პირიქით, საპოლემიკო წერილის ნაკლია, უარყოფითი მხარეა. მაგრამ ხშირად, რაც უნდა დიდი იყოს საპოლემიკო წერილში ეს ნაკლი, აზრის ნასახი მაინც მოიპოვება. და ეს სრულიად საკმაოა, რომ ის საინტერესო და ყურადღების ღირსი იყოს.

პირადად მე პოლემიკა, აზრთა გაზიარება, საჭიროდ მიმაჩნია, რადგან, ვფიქრობ, უამისოდ აზრი დაიძინებდა და საზოგადოების წინსვლა შეფერხდებოდა.

ხშირად რომელისამე დიდი მეცნიერის ან ფილოსოფოსის თხზულებას პოლემიკური ხასიათი აქვს.

მასპევით პოლემიკა, ე. ი. აზრთა გაზიარება, კრიტიკა,—და მოისპობა აზრის ევოლუცია.

ვინც მოითხოვს, თავი დავანებოთ პოლემიკას, ის ამით გვეუბნება: ნუ შეაშფოთებთ ჩემს მყუდრო ტრადიციურ რწმენას! ნუ აღძრავთ ჩემში ეჭვებს! დეე, ვიცხოვრო და მოვკვდე იმ რწმენით, რომელიც ერთხელ შემიძენია! „მაშასადამე, ის ტრადიციის გამეფებას ქადაგებს.

ჩვენი ფიქრით კი, საჭიროა ყოველი ღირებულების ხელახალი შეფასება, ჭეშმარიტების კვლევა-ძიება, ტრადიციურ აზრთაგან თავის განთავისუფლება.

მეორე მხრით, სამწუხაროდ, ჩვენებური საპოლემიკო ლიტერატურა ლანძღვა-გინების მორევად გადაიქცა, რომლის ძირში შორი-შორს არის გაბნეული მარგალიტები. და იძულებული ვართ ამ მარგალიტებისთვის არა სასიამოვნო შრომას ვკისრულობდეთ და ბინძურ წუმპეში ვისვრებოდეთ.

ლანძღვა-გინება—ხელს უშლის დამშვიდებულ მსჯელობას, აზრთა გაზიარებას. კრიტიკას. აბობოქრებული გულისთქმა სჩაგრავს, ასუსტებს აზროვნობას. აზრი—გემს ემსგავსება, რომელიც მხოლოდ მაშინ მიდის მჩატედ და სწორა, როდესაც წყნარია ზღვა.

ამიტომ მივმართავ ჩვენებურ პოლემისტებს: ნუ გადასცდებიან სწორ გზას, დაანებონ თავი ლანძღვა-გინებასა და უშნო მასხრობას და მხოლოდ აზრი დაუპირდაპირონ აზრს.

სამწუხაროდ, ბ. „მიოლნირი", რომელთან კამათიც წილად მხვდა, ვერ აკმაყოფილებს ხსენებულ პირობას. მისი ფელეტონის პირველი ნახევარი ცალიერი მასხრობაა, მეორე ნახევარი კი აყენებს საკითხებს, რომელთაც ვერა სწყვეტს. და ჩემი წერილის მიზანია მივუგო პასუხი ხსენებულ საკითხებზე.

მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალობს ჩვენ შორის დავა,—ავტონომიის საკითხია. მე ვეუბნები „შრომის" მწერლებს: ცხრა წელიწადია, საქართველოში, რომ ისინი მუშაობენ, და ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ავტონომიის შესახებ ხმა არ ამოუღიათ. და ეს—მათ მიერ ავტონომიის უარყოფას მოასწავებს-მეთქი.

საინტერესოა, როგორ იმართლებს თავს ბ. „მიოლნირი".

1) „ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მარტო საქართველოში არა ვყოფილვართ. ჩვენ მოვიარეთ მთელი რუსეთი და, წარმოიდგინეთ, საზღვარგარეთიც. ვიყავით თეთრ ზღვასთან, ახლოს ვიხილეთ ნარიმის და ბაიკალის მხარეები. ეს მაშინ, როცა თქვენ ქუთაისის ბულვარში არხეინად დასეირნობდით და თქვენიანებთან ერთად ლოცულობდით: „სახელისა ავტონომიისათა, ძველი საქართველოს ტერიტორიისათა".

აქიდან ჩანს, რომ თქვენ მთელი ქვეყანა გაგიხდიათ საასპარეზოდ და, თქვენი ძალების სიმცირე რომ ვიცი, მათი ამ უზარმაზარ მოედანზე გაბნევა, ცხადია, ნაყოფს ვერ მოიტანდა. და, ვფიქრობ, როგორც საქართველოში, ისე იქაც არაფერი გაგიკეთებიათ. თუ ვსცდები, ე. ი. თუ კი სხვაგან უკეთესი პირობანი იყო თქვენი მოღვაწეობისათვის, გულწრფელად მოგახსენებთ, გირჩევნიათ, საიდანაც მოსულხართ, იქვე წაბძანდებოდეთ.

და, მეორე, თქვენი მასხრული სიტყვები—„სახელითა ავტონომიისათა, ძველი საქართველოს ტერიტორიისათა"—განა ავტონომიის იდეის საცინლად აგდება არ არის?

2) „პრაქტიკულ მოღვაწეობაში ავტონომია სხვებზე ნაკლებად არ დაგვიცავს". „ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს" და „ტყუილს მოკლე ფეხები აბია", ბ. „მიოლნირო". თეთრ ზღვაზე რას აკეთებდით, რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოში რომ ავტონომიაზე არც არაფერი კალმით დაგიწერიათ და არც არაფერი სიტყვით გითქვამსთ,—კარგად ვიცით. პირადად ჩემი გამოცდილების შესახებ კი აი რა უნდა მოგახსენოთ: ჩემ სიცოცხლეში არ მახსოვს, ან რუსეთში ან საქართველოში რომელსამე თქვენს ამხანაგს, ვისაც კი ამ საკითხის შესახებ შევეკითხებივარ, საქართველოს ავტონომია არ უარეყოს.

მახსოვს, ერთს რუსულ გაზეთში ვმუშაობდი. ერთი თქვენი ბელადი მობრძანდა და შემწეობა აღგვითქვა, როგორც იდეური, აგრეთვე ქონებრივი. გვითხრა: ჩვენც დეცენტრალისტები ვართ, ჩვენი პროგრამა სავსებით ეთანხმება თქვენსას, გამოგიგზავნით კარგს, მცოდნე თანამშრომელს, ოღონდ თქვენს გაზეთში ამუშავეთ და ფულს არც კი მოგთხოვსთო. დიდი დრო არ გასულა, ახალი თანამშრომელი, რომ კარზე მოგვადგა მშიერი და შიშველი. გავაძღეთ, შევმოსეთ, მოვეფერეთ ნამდვილი ქართული გულუხვობით. მაგრამ, მუხლებზე რომ დავისვით, თავზე აგვაღოლდა და დაგვაჯდა. ველარ გავუძელით მის ბატონკაცობას. და მერე, იცით, რატომ გვიწყრებოდა? ავტონომიას რომ აღვიარებდით, მიტომ. მე მძაგს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიაო, გაჰკიოდა ბრაზმორეული.

ერთხელ კაკი წერეთელთან სიტყვიერი პაექრობა მქონდა. ვცდილობდი, კამათი ავტონომიის ღერძის გარშემო დამეტრიალებია. ერთი თქვენი ამხანაგი, ვითომ, როგორც მომხრე, გვერდში ამომიდგა და, როგორც კი სიტყვა ჩამომართვა, კამათი უცებ მოსწყვიტა ხსენებულ ღერძსა და მიწის საკითხის სფეროში გადაიტანა. გაიმართა დაუსრულებელი, მეტაფიზიკური, განყენებული, სოფისტური დაობა მიწის სოციალიზაციისა და მუნიციპალიზაციის შესახებ. ავტონომიის შესახებ სალაპარაკოდ კი დრო აღარ დაგვრჩა. ერთად გავათიეთ ღამე. მივმართე სამდურავით: „რისთვის შემიშალე და, საზოგადოდ, რისთვის ამგვარადვე ირჯებით ყოველთვის-მეთქი?! და მან გულახდილად მომიგო: მისთვის, რომ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას უარვყოფთო.

✦ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიდის საქმე ნახულ ქვის ხანის ნაშთების შესახებ მოწამეთის მიდამოებში დაწვრილებით იქნება მოთავსებული ამ მოკლე ხანში ისტორიკო-ეტნოგრაფიული საზოგადოების მიერ.

✦ ხუთშაბათს, 19 ივნისს, ქუთაისის თეატრში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ლექციას ი. გედევანიშვილის პიესის ,,სინათლის" შესახებ: ,,გამარჯვება თუ დამარცხება"?

✦ პარასკევს, 20 ივნისს, ქუთაისის ქალაქის თეატრში ახალგაზდა მგოსანი ი. მჭედლიშვილი გამართავს სალიტერატურო საღამოს.

სატახტო გაზეთები, რომლებიც აგერ მეხუთე დღეა არ მიუღია ჟურნალ გაზეთების კანტორა ,,იმერეთს", ბაქოს რკინისგზის გაფუჭების გამო, გუშინ მიიღო ერთად. გუშინვე მიიღო მან კვირის გაზეთები თფილისისა, საიდანაც ამ ბოლო დროს ძალიან ხშირათ დაიწყეს კვირის გაზეთის გზავნა მეორ-მეორე დღეს, რისთვისაც მკითხველი საზოგადოება ძლიერ უკმაყოფილებას აცხადებს, რადგან ამ თავისუფალ დღეს სრულიად უგაზეთოდ რჩება ხოლმე მთელი ქალაქი—მეორ დღეს კი ვის რაღათ უნდათ ძველი გაზეთები.

კანტორამ მიიღო ხელისმომწერლებისათვის ჟურ. ,,ნაკადული"-ს № 11 მცირეწლოვანთათვის.

# თფილისი

(ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობა).

13 ივნისის კრება.

კრება იწყება საღამოს 8 საათზე თავჯდომარის ამხანაგის ა. კრინიცკის თავჯდომარეობით.

**სასცენო ხელოვნება.**

ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა აკაკი ფაღავამ. ამ მოხსენების გამო კრება იღებს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ შემდეგ რეზოლუციას:

„მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სცენა შეძლებისდაგვარათ ემსახურება თავის დანიშნულებას და წინსვლა ეტყობა, დღევანდელი მისი მდგომარეობა მაინც კიდევ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას; ამიტომაც ყოველი ღონისძიება იქნას მიღებული სასცენო ხელოვნების გასაუმჯობესებლათ. ყრილობა ამ საქმის განსახორციელებლათ საჭიროთ სცნობს: 1) მოწვეულ იქნას ხოლმე შესაფერის ნიჭითა, გემოვნებითა და ცოდნით აღჭურვილი რეჟისორი და მსახიობი, 2) ყოველივე ღონე იქნას მიღებული ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ დრამატიულ საზოგადოებათა და იმ დაწესებულებათა, რომელნიც სათავეში უდგანან ქართულ თეატრის საქმეს, 3) სასცენო მოწყობილობა დაყენებულ იქნას, თანახმათ სპეციალისტ რეჟისორის მოთხოვნილებისა.

დასასრულ ყრილობას სასიამოვნოთ მიაჩნია, რომ ქართული თეატრი დაადგა განახლების გზასა და სურვილს აცხადებს, მუდამ სუფევდეს ცოცხალი სული და მხატვრული ძიება".

**დრამატიული კურსები.**

„ამ თემაზე ვ. ღამბაშიძის მიერ წაკითხულ მოხსენების გამო, პრეზიდიუმი კრებას შემდეგ რეზოლუციას უდგენს:

1) სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობა მიიღებს რა მხედველობაში ბ-ნ ვ. ღამბაშიძის მოხსენებას, საჭიროთ სთვლის დრამატიულ კურსების დაარსებას ფართო პროგრამით, ამ კურსების პროექტის შემუშავება დაევალოს სპეციალურათ არჩეულ კომისიას, 2) ამასთანავე გამოსთქვამს სურვილს დაუყოვნებლივ დაარსდეს პრაქტიკული სტუდიები თუ შეიძლება ყველა არსებულ თეატრთან და თუ არა თფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან მაინც".

კრებას საჭიროდ მიაჩნია, ეს რეზოლუცია შემდეგის დამატებით: 1) დრამატიულმა საზოგადოებებმა და წრეებმა ყოველ წარმოდგენიდან გადასდვან არა ნაკლებ ერთის მანეთისა დრამატიულ კურსების ფონდისათვის და 2) გამოითქვა სურვილი, რომ ჩვენმა საზოგადო დაწესებულებებმა, რომელნიც ფულსა ხარჯვენ უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზდობის აღსაზრდელათ, ყურადღება მიაქციონ სცენის მოღვაწეთა აღზრდასაც.

-- თფილ. გუბერნიის საერობო აგრონომებმა გამოსცეს ქართულათ საყურადღებო ნახატებიანი ფურცელი-პლაკატი „ხეხილის უმთავრესი მავნე მწერები და ბრძოლა მათთან" ჩამოთვლილია ხეხილის მტრები და ნაჩვენებია დაწვრილებით ბრძოლის საშუალებანი და ზომები. ყველა ეს კარგად არის ნაამბობი ქართულათ და წარმოადგენს რუსულიდან თარგმნას. მთარგმნელი ყოფილა მაზრის აგრონომის ი. ზ. ქურდიანის მეუღლე ნ. ქურდიანისა. იგივე აგრონომები აპირებენ კიდევ სხვა ფურცლების გამოცემას, სადაც ნაამბობი იქნება კიდევ სხვა მავნე მწერებზე და აგრეთვე ხეხილის უჩინარ სოკოებზე. ყველა ეს ფურცელი მეტათ სასარგებლოა სოფლის მეურნეთათვის და უეჭველია ბლომათ გასაღდება კიდეც.

## დიმიტრი არაყიშვილის მეორე კონცერტი.

ჩვენმა კომპოზიტორმა დიმ. არაყიშვილმა, რომელიც მოკლე ხნით გვეწვია, როგორც უკვე მოეხსენება ჩვენს საზოგადოებას, ამ ერთი კვირის წინად „ახალ კლუბში" გამართა კონცერტი, რომელიც ყოველის მხრით საყურადღებო იყო. გუშინ, 16 ივნისს, გამართავდ კიდევ ფრიად საინტერესო სიმფონიურ კონცერტს მრავალ თავისი ნაწარმოებიდან. ამავე კონცერტში შესრულებული იქნება აგრეთვე ევროპიულ კომპოზიტორების ნაწარმოები. გარდა პატივცემულ მაესტროსი, ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქ. ევა ბრიუნელისა, ს. ი. პრესმანი, გ. გ. ღვინიაშვილი, ე. ნ. კაპელნიცკი და სხვ.

როგორც შევიტყეთ, დიმ. არაყიშვილისა და „ახალ კლუბის" საბჭოს შუა მოლაპარაკებაა გუნდის დაარსების შესახებ ხსენებულ დაწესებულებასთან. ამ საკითხის გადაწყვეტილებაზე, სხვათა შორის, დამოკიდებულია დიმ. არაყიშვილის სამუდამო გადმოსახლება მოსკოვიდან ტ.ბილისში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საქმეს ხელს შეუწყობს საბჭო, რადგანაც ისეთი ძალის შეძენა, როგორიც დიმ. არაყიშვილია, დიდად სასარგებლო იქნება თფილისის ჩვენი საზოგადოებისათვის.

—✦—

## წერილი პეტერბურგიდან.

პირველი კურსდასრულებული ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტის ქართველია.

1908 წელს აქ დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი იშვიათის ტიპისა--ფსიხონევროლოგიური ინსტიტუტი, რომელიც ერთობ სწრაფად გაიზარდა და, რომელშიაც ამ ჟამად, 4000-დი პირი ითვლება ორთავე სქესისა. ხსენებულ ინსტიტუტში ქართველები—43 კაცია. წელს პირველი გამოსაშვები ეგზამენები შესდგა მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც მხოლოდ სამმა პირმა დაასრულა. ესენი არიან: ლევან ბაქრაძე, ქ-ნ. ვერა აგრანოვიჩი, დავ. სარმადარიანცი. ამათში პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს თანამემამულეს, თფილისის სასულიერო სემინარიაში კურსდასრულებულს ლევან ტარასის ძე ბაქრაძეს, რომელმაც მაისში კიდეც ჩააბარა ყველა საგნებში ეგზამენი, იმ დროს, როცა დანარჩენს ორს სექტემბრისათვის დარჩათ ჩაუბარებელი თითო საგანი. ამ რიგად პირველი კურსდასრულებული ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტისა (პირველი გამოშვება) ქართველი არის. ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობით ზემოაღნიშნული სამი პირი შემოდგომაზე დაშვებული იქნებიან სახელმწიფო გამოცდებზე.

ფსიხო-ნევროლოგი ფალია.

# რუსეთი.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**უნივერსიტეტებში გამოცდების დანიშვნა.**

სახალხო განათლების სამინისტრომ 1914 წ. შემოდგომისათვის უნივერსიტეტებში შემდეგი სახელმწიფო გამოცდები დანიშნა: საფიზიკო-სამათემატიკო, ისტორიკო-ფილოლოგიური და იურიდიული. —უნივერსიტეტებში: პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა და ხარკოვისა; საექიმო ფაკულტეტზე უნივერსიტეტებში: მოსკოვისა, კიევისა, ხარკოვისა, ნოვოროსიისა, სარატოვისა, ყაზანისა და ტომსკისა: საექიმო მხოლოდ ქალთათვის: პეტერბურგის ქალთა საექიმო ინსტიტუტში, მოსკოვის ქალთა საექიმო კურსებზე.

**სახაზინო არყის გამყიდავი ქარხნის დაკეტვა.**

უფის გუბერნიაში სასოფლო ყრილობათა დადგენილების მიხედვით, 13 სახაზინო არყის გამყიდავი ქარხანა დაიკეტა.

ქალაქის საბჭომ ტულაში ლოთობის საწინააღმდეგო ზომებათ სასურველად სცნო ქალაქში 44 სასმელების დუქნის დაკეტვა, 4 ტრახტირისა 4 სახაზინო არყის გამყიდავი დუქნისა.

**ლოთობასთან ბრძოლა.**

საფინანსო მინისტრისადმი რესკრიპტის გაცემის შესახებ მინსკის გუბ. 105 სოფელში გამოიტანეს დადგენილება და დახურეს 75 სახაზინო არყის გამყიდველი დუქანი. ბევრი საზოგადოება ადგენს—ებრძოლოს თავისი ძალებით არყის ფარულად ვაჭრობას.

**გაცარცვა.**

ხარკოვში ხარინის ბინაზე საოცარი გაცარცვა მოხდა. ხარინის შვილიშვილი მძარცველთაგან თავს იცავდა. იგი ტყვიითაა დაჭრილი.

**ცეცხლის გაჩენა.**

ეკატერინბურგში აზბესტის მაღაროებში დაიწვა გადამრჩეველი ქარხანა. ზარალი 800,000 მ.

# უცხოეთი.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**ბილის ხელმეორეთ წაკითხვა.**

**ლონდონი.** ქვედა პალატა. საფინანსო ბილის ხელმეორეთ წაკითხვის დროს ოპოზიციამ შესწორება შეიტანა, რომელშიაც გამოთქმულია მწუხარება, რომ მთავრობამ უარი სთქვა წინადადებაზე, რათა ადგილობრივ მთავრობებს დროებითი სუბსიდიები მისცემოდათ. ასკვიტმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის საფინანსო პოლიტიკის დასაცავათ. ბიუჯეტის სხ. და სხ. წინადადების კენჭისყრის, დროს 303 ხმით 265 წინააღმდეგ ოპოზიციის შესწორება უარჰყვეს. თავი შეიკავეს ზოგიერთმა [illegible] მუშათა პარტიის წევრმა. ბილი მიიღეს.

კონსერვატორების [illegible]თა პალატაში გადასწყვიტეს შეიტანონ ბილში, რომელიც სცვლის ჰომრულის კანონს, შესწორებათა მთელი რიგი, რომელიც არჩევნების კანონის შეცვლას ეხება.

**საკტეკასთან ბრძოლა.**

**ნიუირკი.** საკტეკასთან ბრძოლა მოხდა. კონსტიტუციონალისტების თვლით, ფედერალისტებს მოუკლეს 4000 და დაუჭრეს 2000, ტყვეთ წაყვანილია 5000 ჯარის კაცი. კონსტიტუციონალისტების ზარალი ნახევრათ მცირეა. ბრძოლა 4 დღეს გაგრძელდა.

**ცეცხლით დაზარალება.**

**სალემი** (შტატი მასაჩუზეტი) ცეცხლმა რამდენიმე უბანი იმსხვერპლა.

**სალემი.** ცეცხლმა ნახევარი ქალაქი გაანადგურა. დანარჩენიც იწვის, ზარალი 50 მილიონია.

**აჯანყება.**

**პეკინი.** ოთხშაბათს ღამით კანგანში პირველი დივიზია აჯანყდა და ქალაქის უდიდესი ნაწილი გაძარცვა.

**ალბანეთის აჯანყება.**

**ვენა.** „კორესპონდენც ბიუროს" დურაცოდან დეპეშით ატყობინებინებდენ 12 ივნისის დღე და ღამემ უინციდენტოთ ჩაიარა. ქალაქის გამაგრებაზე მთავრობას არ შესწევს ძალა. სამხრეთიდან არა სასიამოვნო ცნობები მოდის. რადგანაც ხვალ გავა დროებით ზავის ვადა. ჰფიქრობენ, რომ ზარბაზნებს დაუშენენ მეამბოხეთა პოზიციებს.

დილის გაზეთებში გამოქვეყნებულია ალბანეთის კაბინეტის ორის წევრის მოწოდება, ავსტრიის არმიის ჯარის კაცებათ და ოფიცრებად ნამყოფთადმი, რომ ალბანეთისათვის რაზმები შეადგინონ. საღამომდი უკვე 1600 კაცი ჩაეწერა. მათ შორის ბევრია აფიცერი.

## თეატრი და ხელოვნება.

კვირას, 15 ივნისს ქალაქის თეატრში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა მსახიობ მგალობლიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „გმირები". საზოგადოთ ბ-მა მგალობლიშვილმა ნამდვილი შქროს ტიპი დაგვიხატა, თითქოს მისი მიხვრა-მოხვრა შქროს გრძნობებს თვალწინ გვიხატავდა.

არა უშავდა ქ. ეპიტაშვილს არჩილის დედის როლში. მან ჩინებულათ დაგვიხატა არჩილის თანამედროვე თავადების დედის ტიპი. წარმოდგენამ საზოგადოთ სუსტათ ჩაიარა.

დასასრულ დადგეს ვოდევილი „ვისი შვილია". ვოდევილმა ჩინებულათ ჩაიარა. ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა. **ნ.**

—✦—

სხვა ამგვარი მაგალითიც ბევრი მახოვს.

მაშასადამე, თქვენი ამხანაგები კალმით ხომ არ ეხებოდენ და არა ავტონომიას, სიტყვით კი უარყოფდენ.

მართალია, ისინი აგრეწოდებულს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას აღიარებდენ, რომელიც განუხორციელებელ უტოპიას წარმოადგენს. და, ვფიქრობ, ბ. „მიოლნირსაც" ალბად ამგვარი ავტონომია ეგულება ხმლად და ფარად. მაგრამ ეს ხომ იმასა გავს, პურის მაგიერად ქვა მიაწოდო მშიერს. და, თუ ეს ჩემი წინასწარმეტყველება არ გამართლდება, ცრუ თავმოყვარეობას არ დავემორჩილები და დიდი სიხარულით მოვიხდი ბოდიშს ავტორის წინაშე!

3) „ავტონომიის უარისყოფა რუსეთიდან გადმოიტანეთო. აქაც ცდებით. აიღეთ სათანადო დოკუმენტი და იქიდან ამოიკითხავთ არა თუ ეროვნულ ავტონომიას, არამედ უკიდურეს დეცენტრალიზაციას და ცალკე თემის ავტონომიასაც. და, თუ გინდ არც ერთი ესენი არ იყოს, რა უფლება გაქვთ ავტონომიის უარყოფა უკიჟინოთ იმ მიმართულებას, რომელიც ჯერ კიდევ გერცენის პირით აღიარებდა ეროვნულ თავისუფლებას..."

ავტორს აქ ორი მცნება აურევია ერთმანეთში: საზოგადო პრინციპი და კონკრეტული მიზანი. შეგიძლიათ, მაგალითად, აღიარებდეთ ჰიგიენურ მოთხოვნილებათ, მაგრამ არ ასრულებდეთ რომელსამე მათგანს. შეგიძლიათ იყოთ დიდი, გენიოსური თეორეტიკოსი ფიზიოლოგიისა და ტერაპიისა და იმავე დროს ცუდი პრაქტიკული ექიმი. აგრეთვე შესაძლებელია აღიარებდეთ პრინციპიალურად ავტონომიას, მაგრამ არ მიგაჩნდესთ რომელიმე ერი ავტონომიის ღირსად, ვითომ განსაკუთრებულ მიზეზთა გამო.

ერთი თქვენი იდეოლოგის წიგნაკი წავიკითხე. ამტკიცებდა, ავტონომიის პრინციპი აუცილებლად უნდა აღვიაროთო. მაგრამ იმავე დროს ამბობდა: მარტო პოლონეთს მოუხდებაო, უკრაინას აწყენსო და ქართლელებს, იმერლებს, მეგრელებსა და სხ. ხომ ყელზე დაადგებათო!

შეიძლება მითხრან: საქმე პრინციპია და არა კონკრეტული მიზანი, რადგან კერძო მიზანი ზოგადი პრინციპიდან იბადებაო.

შემცდარი აზრია. განყენებული მიზანი კი არა, ცხოვრება შობს საზოგადოებრივ იდეალს, მიზანს. და მეცნიერული ლოღიკას ზოოლოგიური ალღო სძლევს ხოლმე. ამიტომ არის თქვენი რუსეთელი ამხანაგების პოლიტიკური მსოფლმხედველობა ორჭოფი.

დიაღ! მეცნიერება უკარნახებს მათ დეცენტრალიზაციას, ისტორია და ცხოვრება კი იმ იმპერიალისტურ პოლიტიკას. და, საკვირველია, ვერც კი გრძნობენ, ეს ორი ერთმანეთის მოპირდაპირე მცნება რომ ერთად მოთავსებულია მათს პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში.

ამიტომ რუსეთის მწერალთა შორის მხოლოდ კულჩიკის წიგნაკში ამოვიკითხე საქართველოს ატონომიის აღსარება. ეს ფაქტი კი, ცხადია, განსაკუთრებულ პირობას მიეწერება.

და თქვენ, ქართველი „ხალხოსნები", რომ დღემდი სდუმხართ და ხმას არ იღებთ ამ საჭირბოროტო პოლიტიკური საკითხის შესახებ, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ვერ ბედავთ სთქვათ, გულში რაცა გაქვთ.

და, რომ არა ვსცდები, იქიდანაც ჩანს, რომ სხვებრ გაუგებარი იქნებოდა თქვენი გალაშქრება პირველი გამოსვლისთანავე ფედერალისტების წინააღმდეგ. რატომ არა ხართ მათთან? აგრარული, მუშათა და სხ. სოციალური პროგრამა ხომ ერთი გაქვთ! მათ დეპუტატს „შრომის ჯგუფის" ბელადი „კერენსკი" ხომ გულში იხუტებს! ორიოდე რენეგატი თუ აღმოჩნდა მათს წრეში, რომელი სხვა პარტიაა, რენეგატები რომ არ ყავდა?! და, თუ ზოგიერთი „სანფარი" უენერგიო და უმოქმედოა, ჯერ ერთი, ეს ყველაზე არ ითქმის და, მეორე, თქვენ თუ მეტი ენერგია მოგეპოვებათ, შეუერთდით და მოიხმარეთ მათი ძალა საერთო მიზნისათვის! განა მაშინ უფრო არ მოიკიდებთ ფეხს, არ მოიპოვებთ ნიადაგს?!

მაგრამ თქვენ პირდაპირ განაცხადეთ: „სანფარებს" ვერ ვენდობით, „სანდონებთან" მეტი გვაქვს საერთოო.

მაგრამ რატომ ამასვე არ ამბობდით ამ ათი წლის წინად? ნუთუ მიტომ, რომ „სანდონებმა" ახლოს არ გაგიკარეს და იძულებული გახდით შეპარვით, მოტყუებით შეგეფარებიათ თავი „სანფარების" კალთას ქვეშ?

დიაღ! ცხადია, რატომ უცხადებთ „სანფარებს" ბოიკოტს: ვერ მოგინელებიათ, „სანფარები" რომ „სახელითა ავტონომიისათა, ძველი საქართველოს ავტონომიისათა" ლოცულობენ!

შევეხოთ ახლა სხვა საკითხებს. მე ვამბობდი: მუშათა და კაპიტალისტებს შორის ერთი რამეა საერთო, რასაც მათ შორის არსებულ ბრძოლაზედაც კი მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვს მეთქი. ამ აზრის წინააღმდეგ ავტორს მოეპოვება მხოლოდ ერთი სიტყვა: „არა!"

ვამბობდი აგრეთვე: როდესაც მრეწველობა განვითარებულია, ქალაქი მდიდარია, და, მაშასადამე, სამეურნეო ჭირნახულს დიდი ბაზარი მოეპოვება,—ეს სასარგებლოა, როგორც დიდი მემამულისთვის, აგრეთვე გლეხისთვის-მეთქი.

და აქიდან გამომყავდა ის დასკვნა, რომ მრეწველობის განვითარება ყველა კლასისთვის სასარგებლოა.

ბ. ,,მიოლნირს" ვერ მოუნელებია ის აზრი, რომ სამრეწველო ცენტრების შექმნა,—რაც შობს ბაზარს სამეურნეო ნაწარმოებთათვის,—სასარგებლოა გლეხისთვის, და კვლავ იმეორებს! ,,მშრომელი გლეხის ეკონომიური და კულტურული ინტერესები მოითხოვს კაპიტალისტური ბაზრის უარყოფასო".

საბუთებზე კი უკაცრავად არის და თავისი აზრის (!) დასამტკიცებლად (!) ერთად ერთი წინადადება მოჰყავს მარქსის ერთი თხზულებიდან. აი რა: „მხოლოდ კაპიტალის დამხობა წაიყვანს გლეხობას აყვავებისაკენ. მხოლოდ ანტიკაპიტალისტური პროლეტარული მთავრობა მოსპობს მისი (გლეხის) ეკონომიურ გაჭირვებას და საზოგადოებრივ დეგრადაციას".

მორჩა და გათავდა! ვითომ ისიც დაამტკიცა, რომ მარქსი წაუკითხავს, და თავისი აზრიც დაასაბუთა! ოჰ, რა ცოტაა საჭირო, რომ ჩვენში ვინმემ კალამი აიღოს ხელში და სამწერლო მოედანზე ინავარდოს?!

წაიკითხეთ, ბატონო „მიოლნირო", მარქსის „კაპიტალის" სამივე ტომი, დარწმუნდებით, რომ მარქსისავე ხსენებული დებულება მართალი არ არის. წარმოიდგინეთ, რომ პროლეტარიატმა განახორციელა სოციალიზმი, როგორ ფიქრობთ? იბოგინებს კიდევ გლეხი? არა: ის უცებ გაკოტრდება, რადგან ვერავითარი საშუალებით ვერ გაუწევს ცილობას დიდს სოციალისტურ საზოგადოებას. ის გაჰქრება, როგორც გლეხი, და იძულებული იქნება შეიქნეს სოციალისტური საზოგადოების წევრად.

მაშასადამე, სოციალისტური საზოგადოება არათუ არ ააყვავებს, არამედ მთლად მოსპობს გლეხურ წარმოებას.

ჩვენ კი ვამბობთ: ვიდრე კაპიტალისტური წესწყობილება არ გამქრალა (და გაჰქრება კი სავსებით?), რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური ბაზარი, მით უმჯობესია გლეხისთვის-მეთქი.

და თქვენი გაზეთის ერთერთ ნუმერში რომ წერა, ქართული სავაჭრო სამრეწველო ბანკის დაარსება და განვითარება მავნებელია ხალხისთვისო, ეს ხომ უკიდურეს პოლიტიკო-ეკონომიურ უმეცრებას მოასწავებს.

დიაღ! ძნელია თქვენებრ უშინაარსო მწერალთან კამათი, მაგრამ იძულებული ვარ: პატივი უნდა ვსცე ბეჭდვით სიტყვას.

და, რამდენადაცა ჰგავს მახისა, ავენარიუსისა, ბეტცოლდისა და სხ. ფილოსოფია მიხაილოვსკისას, ჩემ აზრს ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

**ისარი.**

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაბის სითხით
მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის
ძლიერ ზომიერ ფასად ნამდვილი ინგლისური შაბიამანი,
გოგირდის ფხვნილი, ქაშენის სითხე.
ვენახების საქშენი მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერველები.
მანქანების ყოველგვარი რეზინები-სა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.**
მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაიფურისა ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

## პასუხი.

მკითხველ საზოგადოებას უკვე ეცოდინება, თუ რას აცხადებს ხარკოვის სათვისტომო გაზეთ „ტალღის" პირველ ნუმერში: „ხარკოვის სათვისტომოს წევრობიდან გამოვრიცხეთ ბიკტორ როინიშვილი, საერთო სტუდენტთა გაფიცვის დროს ლექციებზე სიარულისათვის.

ასეთი ყოფილა თურმე ხარკოვის **ქართველთა** სათვისტომოს გამგეობის განკარგულება. მე ვერ წარმომიდგენია, რომ ეს გამგეობა სიტყვას „ქართველთა-ს ასე თამამა" ხმარობს; ნუთუ სირცხვილი არ სწვავთ მათ? მაგრამ რა გაემტყუნებათ, როდესაც ამ სახელწოდებით სარგებლობენ და ჩვეულებისამებ არავითარ ზომებს არ ზოგვენ მოპირდაპირის დასამცირებლათ.

ხარკოვის ქართველთა სათვისტომოს სახელით მოქმედობს ერთი ჯგუფის ხალხი, რომელთა გონებრივსა და ზნეობრივ ავლადიდებაზე, მოქმედებაზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა.

ახალმა მეთვალყურემ" „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე ნათლათ დაანახა მკითხველთ თუ ვინ ბძანდებიან ეს ვაჟბატონები.

დღეს სხვა მიზეზები რომ ვერა უნახავთ რა, იერიში ჩემზე მოაქვთ და „ტალღის" საშუალებით სურთ ჩირქი მომცხონ. ბატონო გამგეობავ! რათ ამბობთ ასეთ მტკნარ სიცრუეს, რომელსაც ადგილი არ ჰქონია; როდის და რა დროს იყო, რომ მე **საერთო** გაფიცვის დროს ლექციებზე დავდიოდი? რას ფიქრობთ, ან რას გამოელით, რომ ასეთ ცილსა მწამებთ?

სცრუობთ, სიყალბით სავსეა თქვენი არსება. **საერთო** გაფიცვის დროს კი არ ყოფილვარ ლექციაზე, არამედ მაშინ, როდესაც მეხუთე კურსის სტუდენტობამ მოხსნა გაფიცვა და მეცადინობას შეუდგა; და ეს მათი გადაწყვეტილება მე გაზეთის საშუალებით გავიგე მეორე დღეს. რადგანაც მთელი გაფიცვის დროს იშვიათად გამოვდიოდი სახლიდან და ქალაქის მოშორებითაც ვიდექი.

ამიტომ ის „ტალღა", რომლის საშუალებითაც თქვენ გსურთ სიმართლე ჩარეცხოთ, ჭიქაში ჩაყენებულ წყალის ტალღას მომაგონებს, და ტყუილა ნუ ფიქრობთ, თეთრი შავათ მოაჩვენოთ მკითხველთ.

და თუ მაინცდამაინც ისე გაბოროტებული ხართ, რომ ვერ ისვენებთ და კვლავ გსურთ ანთხიოთ შხამი, მაშინ უმორჩილესათ გთხოვთ ნიღაბი აისხლოთ;

ნუ ხმარობთ გამგეობას ფარათ, ნუ სარგებლობთ ამ სახელწოდებით, მაშინ შემეძლება პასუხი გაგცეთ და ღირსეული სახელიც ვუწოდო თქვენს საქციელს.

**ბ. როინიშვილი.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ბაღდადი** (ქუთაის. მაზრა). კვირას, 8 ივნისს, ბაღდადის ბოქაულმა ს. შენგელიამ ყრილობა მოახდინა. ყრილობას ხალხი ბლომათ დაესწრო. ბ. შენგელიამ წინადადება მისცა ხალხს, აერჩია საიმედო პირები ბაღდათში პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ საქმის მოსაწესრიგებლათ. ყრილობამ ერთხმად აირჩია გიორგი ახვლედიანი და გაბრიელ დევიძე, რომელთაც სრული უფლება მიეცა თავის შეხედულებისამებ მოაწყონ ეს საქმე.

ამავე დღეს დაადგინეს, დააყენონ საბალახო მთებზე საერობო დარაჯების დასახმარებლათ მხოლოდ ამ ზაფხულის განმავლობაში ორი დარაჯი საზოგადოების ხარჯით.

სასოფლო ქსენონისთვისა და ფოშტისთვის შენობები უკვე მზათ არის და მალე აკურთხებენ.

უფასო სიმინდი დაურიგეს მეოთხე წყებას ხალხისას. კიდევ ბევრია იმისთანა, რომ შიმშილს განიცდის და სიმინდის მიღებაზე თავის დროზე ხელმოუწერელი დარჩა. საგლეხო ბანკს მდინარე ხანისწყლიდან სოფ. ვარციხეში გამოყავს თავისი მიწების (მელმანისეული) მოსარწყავათ სარწყავი არხი, რომელიც გაივლის ს. როკითზე და დიდველაზე. ამ სოფლების რწმუნებულებმა თხოვნით მიმართეს წყლის მართველობას, რათა ბანკმა ამ სოფლების საზიაროთ გადმოიყვანოს სარწყავი არხი, რისთვისაც სოფლები საჭირო ხარჯებს კისრულობენ.

5 ივნისს საქალო ორკლასიან სასწავლებელში გაიმართა სალიტერატურო საღამო. მოსწავლე ქალები საუცხოო მომზადებული იყვენ. საღამომ მშვენიერათ ჩაიარა, რამაც დამსწრე საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა და მადლობელი დარჩა საღამოს მომწყობ მასწავლებელ ქალებისა. ამ საღამოსვე გიორგი მეფარიშვილმა წაიკითხა ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში ლექცია „სიცოცხლის ღირებულება". ლექცია შინაარსიანია, მხოლოდ ხალხისთვის გაუგებარი გამოდგა.

ბოქაული ს. შენგელიას მეცადინეობით აქით მხარეში ძალიან შემცირდა ხალხის ზნეობრივათ გამათახსირებელი არღნების რიცხვი, რასაც აუცილებლათ სამიკიტნოების შემცირებაც მოყვება.

ვენახებს და ყანებს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს.

მეთვალყურე.

## სია

იმ პირთა, რომელთაც შესწირეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის საზოგადოებას 4 მაისის სეირნობის გასამართავათ.

გაგძელება იხ. „იმერ." 77-ე №.

ივანე ლ. ბექაიამ ორნაირი კანფეტი, 4 კოლოფი სარდინკა და 1 ბოთლი პიკული, მიხაკო ეძგვერაძემ ერთი პატარა ღოში, მიხეილ ხონელიძემ ერთი პატარა ღოში, მელიტონ რუსაძემ ერთი პატარა ღოში, რაჟდენ ჭარხალაშვილმა ერთი პატარა ღოში, ლუკა ღ. კიკვაძემ 5 გირვანქა ქართული ყველი, ახალი და მჟავე კიტრები, ვასილ კუპრაშვილმა 10 კიტრი და პეჩენიე, ქ-ნ ოლღა ნესტორის ასულმა ჯაფარიძისამ 2 ქალის პირანგი, ნინო პლატონის ასულმა გველესიანისამ ერთი დიდი ყვავილის ვაზა (მეტალოპლასტით), ელ. პავლეს ასულმა კიზირიამ მოქარგული პორთფელი, ელიზბედა პეტრეს ასულმა კოკოჩაშვილისამ მოქარგული ბალიშის საპირე, ქ-ნ კასოვსკისაგან ორი ვაზა, ვერა ბედაკონის ქალისაგან 2 ხილის ვაზა, კნ. ნინა ალექსანდრეს ასულმა წერეთლისამ 1 კალათი, 1 კოლოფი იაპონური, 2 შირმა იაპონური, 1 კოლოფი დუხი და საპონი, ეკატერინე იაკობ. ნიკოლაძის ასულმა 1 იაპონური კოლოფი და 1 ალბომი ღია ბარათების, თამარა წერეთლის ასულმა მაგრატელი მოქარგული ტყავის ბუდით, 23 მანეთი მოაგროვა ქ-ონმა ანიკო აბულაძის ასულმა, კნ. ოლღა ხიდაბეკიშვილის მეუღლისაგან ორი ვაზა, მექუდე მარხოვკინამ ორი მოწაფის ქუდი, სევერიანე იოსელიანმა 1 ალბომი ღია წერილებისათვის, ქ-ონ ელენა თარხნიშვილისამ ორი ვაზა, სტაქნის ჩასადგმელი და ორი ბალიშის მოქარგული საპირე, ქ-ნ ოლღა ნუცუბიძის ასულმა 1 ჩარჩო მოქარგული, ქ-ნ მარუსია ერისთავის ასულმა 1 მოქარგული პირსახოცი, ქ-ნ ნუცა აბაშიძისაგან ნიკოლოზ ბარათაშვილის კედლის სურათი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

**სახალხო განათლების მინისტრის** განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მიის მზომლობისა, საამშენებლო და სამეურნეო განყოფილებიანს

**თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე**

პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამიჯნელო ნაწილის გამგე თანაშემწეების კანდიდატებათ და მიწის მომწყობი კომისიის მიწის მზომლებათ ირჩევს. (სამიჯვ. ნაწ. გამგის 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნუმრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, საამშენებლოსა და სამეურნეოსაში კი ორი წლინახევრის. პროსპექტებს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.

მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10—30.

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით**

ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.

მისამართი: თფილისი, პუშკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

**სახლის პატრონთა საყურადღებოთ.**

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

**ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში**

**ქუთაისში**

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

**ნ. ს. ტერკის მაღაზია**

ქუთაისში

**ველოსიპედები**

ყველაზე იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

**ყველაზე იაფად**

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.



**ქ. ქუთაისში.** (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

**ფასები ძლიერ დაკლებულია.**

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

დაიწყო ხელის მოწერა

**ჯაჯუ ჯორჯიკიას**

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის" რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ღამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ქავჟანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლლევში** აქვსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მალლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვადასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **სამეგრელო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.